

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“
ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის – ბიზნესის სკოლის საბჭოს

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ (ტექსტში შემდგომ – „სასწავლო უნივერსიტეტი“ ან „დაწესებულება“) ბიზნესის სკოლის საბჭო (ტექსტში შემდგომ – „სკოლის საბჭო“ ან „საბჭო“) არის დაწესებულების სკოლის სტრუქტურაში შემავალი წევრობაზე დაფუძნებული კოლექტიური ორგანო.
2. სკოლის საბჭო იქმნება სკოლაში სწავლებისა და კვლევითი მუშაობის კოორდინირებისა და წარმართვისათვის.
3. სკოლის საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, დაწესებულების ბიზნესის სკოლის დებულებით წინამდებარე დებულებითა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. სკოლის საბჭოს შექმნის წესი

1. სკოლის საბჭოს თავმჯდომარეა სკოლის დეკანი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური პერსონალი (არაუმეტეს სამი წევრი), მოწვეული პერსონალი (არაუმეტეს სამი წევრი) და სტუდენტთა წარმომადგენელი (არაუმეტეს ორი წევრი). სკოლის საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც აირჩევა სკოლის საბჭოს წევრებიდან და შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ან/და აკადემიური პერსონალი. განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნან დამსაქმებლები და სხვა კომპეტენტური პირები.
2. სკოლის საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და სკოლის საბჭოს დებულებას დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
3. სკოლის საბჭოს შემადგენლობა, როგორც წესი, განახლებას ექვემდებარება არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ მაინც. სკოლის საბჭოს წევრთა განახლებული პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება სკოლის დეკანის წარდგინებით, წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 3. საბჭოს უფლებამოსილებები

სკოლის საბჭო:

- ა) უზრუნველყოფს სკოლის მართვის საჯაროობასა და გამჭვირვალებას;
- ბ) სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, სრულფასოვანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ნებისმიერ საკითხზე დეკანის წარდგინებით;

- გ) განიხილავს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამებს და მათში შესატან ცვლილებებს;
- დ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტების კანონმდებლობით განსაზღვრულ პროპორციების დაცვას მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად;
- ე) აკონტროლებს კრედიტების დაგროვებასა და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) სწორად იმპლემენტაციას და ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელებას;
- ვ) ადგენს სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამდლების გეგმას;
- ზ) განიხილავს და დასაბეჭდად წარადგენს სახელმძღვანელოებს, ლექციების კურსებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს და სხვა სასწავლო ლიტერატურას;
- თ) მსჯელობს სკოლის სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და თანამშრომელთა სასწავლო და სამუშაო, ასევე სოციალური ხასიათის პირობების გაუმჯობესებაზე;
- ი) შეიმუშავებს სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის წინადადებებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის წარსადგენად;
- კ) იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის ემერიტუსის, საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისა და საპატიო პროფესორად არჩევის შესახებ და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად;
- ლ) საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას;
- მ) იხილავს სტუდენტების მიერ სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ მოპოვებული კრედიტების აღიარების საკითხს;
- ნ) მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულებისა და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის წესი

1. სკოლის საბჭოს წევრები იკრიბებიან სემესტრული საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში საჭიროებისამებრ.
2. სკოლის საბჭოს სხდომას იწვევს და მის დღის წესრიგს განსაზღვრავს სკოლის დეკანი.
3. სკოლის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის თაობაზე ეცნობებათ სკოლის საბჭოს წევრებს სხდომის გამართვამდე. სკოლის საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან შენიშვნები, რეკომენდაციები და წინადადებები წარმოადგინონ სკოლის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის თაობაზე საბჭოს სხდომამდე არაუგვიანეს სამი დღისა. სკოლის საბჭოს სხდომის რეგლამენტთან დაკავშირებით სკოლის საბჭოს წევრთა მიერ გამოთქმული შენიშვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების გათვალისწინების საკითხს წყვეტს დეკანი.
4. სკოლის საბჭოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია სკოლის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა. რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე შუამდგომლობის საკითხს წყვეტს დეკანი.

5. დეკანის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სკოლის საბჭოს სხდომას წარმართავს ხმათა უმრავლესობით არჩეული სკოლის საბჭოს წევრი.

6. სკოლის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სკოლის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სკოლის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. სკოლის საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. სკოლის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის გარდა, სკოლის საბჭოს სხდომას სარეკომენდაციო (სათათბირო) ხმის უფლებით შეიძლება ესწრებოდნენ განსახილველ საკითხისთან დაკავშირებით მოწვეული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტები ან დასაბუთებული ინტერესის მქონე პირები. სკოლის საბჭოს სხდომაზე აღნიშნულ პირთა დასწრებისა და მონაწილეობის ფარგლებსა და ხანგრძლივობის საკითხს წყვეტს სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 5. სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი

1. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში.

2. სკოლის საბჭოს მუდმივ მდივანად ერთი წლის ვადით აირჩევა ერთ-ერთი წევრი, სკოლის ადმინისტრაციის ან აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან. სხდომის მდივანს საბჭო ირჩევს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, სხდომის თავმჯდომარის წარდგინებით.

3. სკოლის საბჭოს სხდომის ოქმს ამზადებს სხდომის მდივანი. სხდომის ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

4. სხდომის მდივანს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს ხმის ჩამწერი საშუალება, კომპიუტერი ან სხვა ტექნიკური საშუალება.

5. ოქმში ასახულ უნდა იქნეს სხდომაში მონაწილე პირთა ვინაობა (სტატუსის მითითებით), სხდომის ჩატარების ადგილი, სხდომის ჩატარების თარიღი, სხდომის დაწყების და დასრულების დროები, თუ ერთიდაიგივე თარიღში ტარდება ერთზე მეტი სხდომა, განსახილველ საკითხთა ნუსხა და მიღებული გადაწყვეტილება.

6. სკოლის საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობა და კონტროლი ეკისრება სკოლის დეკანს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.